



# 2023 წლის შეჯამება და 2024 წლის ეკონომიკური მოლოდინები საქართველოში



2023 წელს საქართველოს ეკონომიკაში მოსალოდნელზე კარგი შედეგები დაფიქსირდა. ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი გაგრძელდა, ინფლაცია და უმუშევრობა შემცირდა და ლარის კურსმა სტაბილურობა შეინარჩუნა. ეს შედეგები კიდევ უფრო შთამბეჭდავია რიგი საგარეო ნეგატიური მოვლენების ფონზე, რაც რუსეთ-უკრაინის და ისრაელი-პალესტინის ომებს და ასევე დოლარის და ევროს გაზრდილ საპროცენტო განაკვეთებს უკავშირდება.

საქართველომ პოზიტიური მაკრო პარამეტრების პარალელურად, უმნიშვნელოვანეს პროგრესს მიაღწია ევროკავშირთან დაახლოების თვალსაზრისით. 2023 წლის დეკემბერში ქვეყანამ მიიღო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, რაც დიდი წარმატებაა და კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს ეკონომიკის საშუალოვადიანი და გრძელვადიანი მდგრადი განვითარების მოლოდინებს.

## 2023 წლის ეკონომიკური ტენდენციების შეჯამება:

- 2023 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველოს ეკონომიკა 7.0%-ით გაიზარდა და მოსალოდნელი წლიური ზრდაც ახლოს იქნება ამ მაჩვენებელთან. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს მშპ ერთ სულ მოსახლეზე 8,100 აშშ დოლარს გადააჭარბებს და ამ მაჩვენებლით საქართველო კავკასიის რეგიონში ლიდერი იქნება. პოზიტიურია ის, რომ ეკონომიკური ზრდის წარმართველი კომპონენტი ინვესტიციებია. ამასთან, დარგობრივ ძრეულში ზრდა ძირითადად მომსახურების სექტორმა განაპირობა, რომელთაგან მაღალი კონტრიბუციით გამოირჩეოდა ვაჭრობის, მშენებლობის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, განათლების და სტუმარ-მასპინძლობის დარგები.



- ინფლაცია სწრაფად შემცირდა და 2023 წლის აპრილიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნობრივ 3.0%-ზე დაბალ ნიშნულზე ნარჩუნდება. ამან საშუალება მისცა ეროვნულ ბანკს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი წლის დასაწყისში არსებული 11.0%-დან დეკემბერში 9.5%-მდე შეემცირებინა, რაც პოზიტიურია 2024 წლის ეკონომიკური ზრდისთვის.
- 2023 წლის იანვარ-სექტემბერში უმუშევრობა 16.8%-მდე შემცირდა, ხოლო დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასები წლიურად 17.4%-ით გაიზარდა და 1,800 ლარი შეადგინა. ამასთან, ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი ფიქსირდება ინფორმაცია და კომუნიკაციების (ლ3,800), საფინანსო (ლ3,250) და მშენებლობის დარგებში (ლ2,600). აღსანიშნავია, რომ დაბალი ინფლაციის ფონზე, რეალური ხელფასის ზრდის ტემპი მაღალია და დასაქმებულთა მსყიდველუნარიანობაზე დადებითად მოქმედებს.
- ლარის კურსმა სტაბილურობა შეინარჩუნა 2023 წლის განმავლობაში, რაც სამომხმარებლო და საინვესტიციო განწყობებზე დადებითად აისახა.
- 2023 წელს როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთიდან სავალუტო ნაკადების ნორმალიზება მოხდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ჯამური სავალუტო შემოდინებები სოლიდურია და ხელს უწყობს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებლის ისტორიულად დაბალ ნიშნულზე, 4.5%-ის ფარგლებში შენარჩუნებას. აღსანიშნავია, სავალუტო შემოდინებების ახალი მზარდი წყაროების გაჩენა, როგორცაა IT მომსახურების ექსპორტი და განათლების სექტორში უცხოელი სტუდენტების მზარდი ნაკადები.
- საბანკო დაკრედიტების კუთხით აღსანიშნავია ბიზნეს დაკრედიტების დაჩქარება, რაც მნიშვნელოვან პოზიტიურ გავლენას ახდენს ეკონომიკურ აქტივობაზე.
- 2023 წლის ფისკალური პარამეტრები გაუმჯობესდა - ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-თან 2.8%-ის ფარგლებში, ხოლო მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 38.2%-ის დონეზეა მოსალოდნელი. ამავდროულად, სტაბილური ლარის ფონზე, საგარეო ვალის მომსახურების ტვირთი დაბალ ნიშნულზე ნარჩუნდება.



- აღსანიშნავია, რომ 2023 წელს კიდევ უფრო გაუმჯობესდა მონეტარული და ფისკალური ბუფერები, რაც პოტენციური საგარეო შოკის ზეგავლენის გასანეიტრალებლად ძალზედ მნიშვნელოვანია. კერძოდ, მაღალი სავალუტო შემოდინებების ფონზე, საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები რეკორდულ 5.1 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა 2023 წლის ნოემბრის მდგომარეობით.

## 2024 წლის ეკონომიკური მოლოდინები

საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებამ ჩვენი 2024 წლის პროგნოზები გააუმჯობესა. შესაბამისად, შემუშავებული გვაქვს 2 სცენარი - საბაზისო და ოპტიმისტური და ამ უკანასკნელში კანდიდატის სტატუსის პოზიტიური გავლენა მოკლევადიან პერიოდში კიდევ უფრო მაღალია. ამასთან, **ჩვენი საბაზისო სცენარით:**

- საქართველოს ეკონომიკა 5.4%-ით გაიზრდება 2024 წელს.
- ლარი/დოლარის და ლარი/ევროს საშუალო გაცვლითი კურსი მოსალოდნელია 2.7 და 3.0-ის ფარგლებში 2024 წელს, შესაბამისად.
- საშუალო წლიური ინფლაცია 3.5%-ის დონეზეა მოსალოდნელი და ეროვნულ ბანკს ექნება შესაძლებლობა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ეტაპობრივად შეამციროს 8.5%-მდე 2024 წლის ბოლოსთვის 2023 წლის ბოლოს არსებული 9.5%-დან.

ოპტიმისტურ სცენარში გვაქვს დაშვება, რომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება ჩვენს საბაზისო სცენარში არსებულ დაშვებებთან შედარებით კიდევ უფრო მეტად გააუმჯობესებს მომხმარებელთა და ინვესტორთა განწყობებს. შესაბამისად, **ჩვენი ოპტიმისტური სცენარით:**

- საქართველოს ეკონომიკა 6.0%-ით გაიზრდება 2024 წელს.
- ლარი/დოლარის და ლარი/ევროს საშუალო გაცვლითი კურსი მოსალოდნელია 2.65 და 2.95-ის ფარგლებში 2024 წელს, შესაბამისად.
- საშუალო წლიური ინფლაცია 3.0%-ის დონეზეა მოსალოდნელი და ეროვნულ ბანკს ექნება შესაძლებლობა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი ეტაპობრივად შეამციროს 8.0%-მდე 2024 წლის ბოლოსთვის 2023 წლის ბოლოს არსებული 9.5%-დან.



რაც შეეხება რისკებს რომლებმაც შეიძლება შეცვალოს ეკონომიკური პროგნოზები, ეს კვლავ რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკურ კონფლიქტებს უკავშირდება. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებული ბუფერებით ქვეყანას შეუძლია გაუმკლავდეს პოტენციურ რისკებს მათი რეალიზების შემთხვევაში.

გალტ & თაგარტის სრული კვლევა 2024 წლის ეკონომიკურ და სექტორულ მოლოდინებზე მოცემულია ინგლისურ ენაზე შემდეგ [ბმულზე](#).



# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმე ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმების, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის ან თარიღის შემდგომ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდგომ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქალაქის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვიზუალების და სხვა დეტალური მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის საფუძველზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვიზუალებისგან და სხვა დეტალური მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**გალტ ენდ თაგარტი**  
**მისამართი:** პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო  
**ტელ:** + (995) 32 2401 111  
**ელ. ფოსტა:** research@gt.ge

**კვლევები:**  
ტელ: +995 32 2401 111 (4298)  
**საბროკერი:** sales@gt.ge  
ტელ: +995 32 2401 111 (4132)  
**საინვესტიციო-საბანკო მიმართულება:** ib@gt.ge  
ტელ: +995 32 2401 111 (7457)